IDFI

ინფორმირებული და ძლიერი საზოგადოება დემოკრატიული მმართველობისთვის

საგანგებო ბიუჯეტის ბიუროკრატიული ხარჯების ანალიზი

2020 წლის 9 ივნისს საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, კორონავირუსის (COVID 19) პანდემიის საპასუხოდ, წარადგინა საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტი. IDFI დაინტერესდა აღნიშნული დოკუმენტი რამდენად ითვალისწინებდა ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან შემცირებას.

ძირითადი მიგნებები

სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილების პროექტის მიხედვით, **საჯარო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობის ცვლილება არ იგეგმება** და მათი რაოდენობა 112,214-ს შეადგენს.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის **შრომის ანაზღაურების ხარჯები 21.7 მილიონი ლარით მცირდება** და შეადგენს 1,554.3 მილიონ ლარს. მიუხედავად შემცირებისა, აღნიშნული თანხა დაახლოებით 100 მილიონი ლარით აღემატება, 2019 წელს გაწეულ შრომის ანაზღაურების ხარჯებს.

შრომის ანაზღაურების ხარჯები არ მცირდება მთელ რიგ უწყებებში (შინაგან საქმეთა სამინისტრო, საქართველოს პროკურატურა, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, სასამართლოს სრული სისტემა, გუბერნატორის ადმინისტრაციები, ცენტრალური საარჩევნო კომისია, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და სხვა).

შრომის ანაზღაურების ხარჯებში ყველაზე დიდი ეკონომია იგეგმება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს (-5 მლნ), იუსტიციის სამინისტროს (-3.8 მილიონი) და ჯანდაცვის სამინისტროს (-2.8 მილიონი) შემთხვევაში.

ცვლილების მიხედვით, საქონელი და მომსახურებისათვის გათვალისწინებული თანხა დაახლოებით **58 მილიონი ლარით მცირდება** (სამივლინებო ხარჯი, წარმომადგენლობითი ხარჯი, საოფისე ხარჯი, ავტოპარკის ხარჯი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ხარჯი და სხვა).

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქონელი და მომსახურების ხარჯმა შეადგინა 1.3 მილიარდი ლარი, საიდანაც მხოლოდ მივლინებებზე და წარმომადგენლობით ხარჯებზე გაწეულია 103,4 მილიონი ლარის ხარჯი. შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საქონელი და მომსახურების მუხლით გაკეთებული ეკონომია (58 მილიონი ლარი) უმეტესწილად განპირობებულია პანდემიის შედეგად დაწესებული შეზღუდვებით და **ნაკლებად კავშირშია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკასთან.**

განმარტებითი ბარათის მიხედვით, ნაერთი ბიუჯეტით სულ გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების ხარჯების 57 მილიონი ლარით, ხოლო სხვა ადმინისტრაციული ხარჯების (საქონელი და მომსახურების მუხლი) 107 მილიონი ლარით შემცირება. სახელმწიფო ბიუჯეტის მონაცემების გათვალისწინებით, **ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების ტვირთი ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმართველობების ბიუჯეტებზე უფრო მაღალია.**

IDFI საქართველოს ხელისუფლებას მოუწოდებს:

საზოგადოებას **მიეწოდოს დეტალური ინფორმაცია** როგორც ნაერთი, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადმინისტრაციული ხარჯების თითოეულ კომპონენტზე ცალ-ცალკე (სამივლინებო ხარჯები, წარმომადგენლობითი ხარჯები, საოფისე ხარჯები, ავტოპარკი და სხვა) დაგეგმილი ეკონომიის შესახებ.

2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ცვლილების პროექტში გათვალისწინებული იქნას ადმინისტრაციული ხარჯების ეკონომიის მაქსიმალური შესაძლებლობები, მათ შორის **გადაიხედოს, შრომის ანაზღაურების, წარმომადგენლობითი, ავტოპარკის, საოფისე და სხვა ბიუროკრატიული ხარჯები.**

Supported by Luminate
Building stronger societies

კვლევა მომზადდა ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) მიერ, გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია IDFI და კვლევაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს Luminate-ის პოზიციას.